



სამედიცინო

გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემი
გამოდის 1957 წლიდან
№ 8 (336) ოქტომბერი, 2020 წელი



ღაორაჲსონიჲდ-პნაჲჲიჲი მუჲაღნიჲოზი

ანაღისჲანსიჲი რაჲიოჲი, ჲესაბაღისი

ჲიღიჲიოღოღიჲი რაბუღაჲიღის ღაჲჲიო, მანაღღა.

ჲანაღღაღაღ მიღღინაღოზს ოღღიღ-სჲჲღღა.



თბილისში კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა გაიხსნა. კლინიკის შექმნის მიზანი რეგიონში პირველი, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული, მაღალკვალიფიციური სარეაბილიტაციო მომსახურებისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური სასწავლო ბაზის შექმნა იყო. კლინიკა პირველია ამიერკავკასიაში, რომელიც აღჭურვილია ამერიკული და ევროპული მაღალტექნოლოგიური სარეაბილიტაციო მოწყობილობებით და ითვალისწინებს სრულ კომპლექსურ მულტიდისციპლინურ სარეაბილიტაციო მომსახურებას. კლინიკის გახსნის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი გიორგი გახარია, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, მისი აღმატებულება კელი დეგნანი, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის, ემორის უნივერსიტეტის, ორგანიზაცია – „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ.

83 3-4



2020 წლის 7-9 სექტემბერს, COVID-19-ის პანდემიის გამო, ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE-ის) კონფერენცია ვირტუალურ სივრცეში გაიმართა. მიუხედავად უჩვეულო ფორმატისა, კონფერენციაში მონაწილეობდა 3000-ზე მეტი დელეგატი მსოფლიოს 93 ქვეყნიდან. კონფერენცია გახსნა AMEE-ის პრეზიდენტმა, პროფესორმა ტრევეორ გიბსმა. შესავალი სიტყვის დასასრულს AMEE-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში სამედიცინო განათლების განვითარებასა და ინოვაციების განხორციელებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია არჩეულია AMEE-ის საპატიო წევრად.

83 5



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში, ძალიან მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩატარდა, რომელმაც 1 წლის და 4 თვის პაციენტს სიცოცხლე შეუნარჩუნა. მკურნალობის ტაქტიკა განიხილეს ტელემედიცინის საშუალებით ზაიფას რამბამის სამედიცინო ცენტრის (ისრაელი) და ჩიკაგოს პედიატრიული კლინიკის (აშშ) ბავშვთა ქირურგიულ დეპარტამენტებთან. შეირჩა ტაქტიკა - კონსერვატიული მკურნალობის გაგრძელება, მწვავე პროცესის ჩაცხრომამდე და საყლაპავ-ტრაქეის ფისტულის ჩამოყალიბება. აღსანიშნავია, რომ ეს ქირურგიული ოპერაცია საქართველოში პირველად განხორციელდა. ჩატარებული ოპერაციული მკურნალობა იყო საკმაოდ რთული და იშვიათი, თუმცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში ამ სირთულეს მაღალ დონეზე გაუმკლავდნენ.

83 7

ახალი სასწავლო წელი დაიწყო



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2020/2021 ახალი სასწავლო წელი 7 სექტემბერს დაიწყო. სტუდენტთა მისალმონი საზეიმო ღონისძიება განსხვავებულ ფორმატში, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებითა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მონაწილე რეკომენდაციების სრული დაცვით წარიმართა.

თსუ-ის ეზოში დამონტაჟებულ მონიტორებზე სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ; დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ; ემორის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორმა არჩილ უნდილაშვილმა; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასისტენტ დეკანმა, პროფესორმა გორდონ ჩერჩვორდმა; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ვიცე-თავმჯდომარემ, პროფესორმა მერი ჯო ლეკოვიჩმა; მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ფიურსტენფელდბერგის კლინიკის ზოგადი და ვისცერალური ქირურგიის დეპარტამენტის უფროსმა ექიმმა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა გიორგი გრიგოლიამ; ბონის უნივერსიტეტის პროფესორმა, თსუ-ის საპატიო დოქტორმა მიხაილ ლენცემ; ინსბრუკის უნივერსიტეტის ანალიტიკური ქიმიისა და რადიოქიმიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა გიუნტერ ბონიმ; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისების კვლევის მედიცინის დეპარტამენტის ხარისხისა და ეფექტურობის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა,

ჯანდაცვის სამედიცინო ინფორმატიკისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პროფესორმა ვოლფგანგ ბუზბერგერმა; ტიროლის კლინიკების გაერთიანების ხელმძღვანელმა, მაგისტრმა შტეფან დეფლორანმა; ტიროლის ჯანმრთელობის გამოყენებითი უნივერსიტეტის რექტორმა, ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრის (AZW) ხელმძღვანელმა, მაგისტრმა ვალტერ დრასკლიმ; ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ვოლფგანგ ფლაილშპაქერმა; ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის სხივური თერაპიისა და რადიოთერაპიის ცენტრის უფროსმა ექიმმა, თსუ-ის საპატიო დოქტორმა ირმა კვიციანიძემ; მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის პროფესორმა, ვილჰელმ-შონგაუს ქირურგიული კლინიკის დირექტორმა, თსუ-ის საპატიო დოქტორმა რაინჰოლდ ლანგმა; მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიის („UniMan“) ფრანგულის სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სებასტიან ჟოკამ; თსუ-ის კურსდამთავრებულებმა; ექიმმა, ტელენამეყანმა ოთარ ტატიშვილმა; დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელმა გუგა ქაშიბაძემ; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურმა დირექტორმა, პროფესორმა ლევან რატიანამ.

გამომსვლელებმა სინანული გამოხატეს, რომ პირადად ვერ შეძლეს სტუდენტებისთვის და, განსაკუთრებით, პირველმესტრელებისთვის, მიელოცათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მათ ცხოვრებაში – არა მხოლოდ ქვეყანაში, რეგიონში საუკეთესო და პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა; იმედი გამოთქვეს, რომ მალე მსოფლიო შეძლებს ჩვეულ რეჟიმში გააგრძელოს ცხოვრება.

19 ოქტომბრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი ჰიბრიდული ფორმით მიმდინარეობს.



საპირი გაღწევა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, სამედიცინო უნივერსიტეტების რექტორებთან და სამედიცინო ფაკულტეტების ხელმძღვანელებთან სამუშაო შეხვედრა გამართა და მათ უწყებათშორისი საბჭოს გადაწყვეტილება და სამოქმედო გეგმა გააცნო.

მიხეილ ჩხენკელის თქმით, უწყებათშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით, დაიწყება სამედიცინო მიმართულების უფროსკურსელების გადამზადება, რათა შეიქმნას სამედიცინო პერსონალის რეზერვი. სწრაფი კურსის გავლის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, უფროსკურსელები დაეხმარებიან სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს სხვადასხვა მიმართულებაში.

მიხეილ ჩხენკელმა აღნიშნა, რომ პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც პანდემიური სიტუაციის შესაბამისად, კოორდინაციას გაუწევს უფროსკურსელთა გადამზადებას და, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო პროცესში ჩართვას. შესაბამისად, შეიქმნება სამედიცინო მიმართულების უფროსკურსელთა ბაზა, რომლებსაც გავლილი ექნებათ გადამზადების სწრაფი კურსი.

ბიზნესი უნივერსიტეტის სტრატეგიის განხილვის სახელმწიფო საპირისპირო უნივერსიტეტში

2020 წლის 1 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია როსტოკის უნივერსიტეტის პროფესორი არნდტ როლფსი, რომელიც არის ევროპაში ერთ-ერთი უმსხვილესი გენეტიკური ლაბორატორიის – „Centogene“-ის დამფუძნებელი და მთავარი სამედიცინო დირექტორი. აღსანიშნავია, რომ პროფესორი როლფსი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პროფესორ თინათინ ტყემალაძესთან, ერთად, უკვე სამი წელია ახორციელებს იზვიათი დაავადებების ბიომარკერების კლინიკური კვლევის პროექტს.

პროფესორი როლფსი შეხვდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია; კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე; ვიცე-რექტორები: პროფესორი ხათუნა თოდაძე და ასოცირებული პროფესორები: სოფიო ბახტაძე და ირაკლი კობერიძე; მედიცინის ფაკულტეტის დეკანი,

თსუ-ის რეაქორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, მონაწილეობა მიიღო რექტორთა მუდმივმოქმედ კონფერენციაში, რომლის თემატიკა წარმოადგენდა – „Covid 19-ით გამოწვეული კრიზისის დაძლევის გზები და მისი გავლენა ინკლუზიისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე“.

დისტანციური სწავლების შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის გატარებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ისაუბრა საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ნუნუ მიცკევიჩმა. კონფერენციაზე საინტერესო მოხსენება ჰქონდა ქალბატონ თამარ მახარაშვილს - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს.

დისტანციური სწავლების დანერგვის გამოცდილებასთან დაკავშირებით, კონფერენციაზე მოხსენებით წარდგინდა: მერაბ ხალვაში – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი; დავით გურგენიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი; ზურაბ ვადაჭკორია – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი; კახა შენგელია – კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი; გოგი მარგველაშვილი – შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი; თეონა ხუფენია – შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი; გიორგი შარვაშიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი; ალექსანდრე თევზაძე – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი; ნანა მელქაძე – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი; დავით ჩერქეზიშვილი – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი; გიორგი სოსიაშვილი – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

პირველი სტრატეგიის განხილვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

2020 წლის 23 სექტემბერს ბრიუსელში (ბელგია), ევროკავშირის სათავე ოფისში ევროპის ტვიზის საბჭოს მმართველთა კომიტეტის სხდომა გაიმართა. ღონისძიებაზე საბჭოს მმართველთა კომიტეტის წევრმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, ასოცირებული პროფესორმა სოფიო ბახტაძემ, წარადგინა შემაჯამებელი მოხსენება „ტვიზის ინოვაციის დღეები“ შესახებ. ღონისძიების ორგანიზატორი და მხარდამჭერი ევროკავშირი გახლდათ.

კომიტეტის სხდომები ერთი წლის განმავლობაში ჩატარდება და მის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართება. აღსანიშნავია, რომ ღონისძიების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ევროპის წამყვანი ნევროლოგები და ფსიქიატრები. მსოფლიოში შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, 23 სექტემბერს გამართული ევროპის ტვიზის საბჭოს მმართველთა კომიტეტის სხდომა ონლაინ რეჟიმში ჩატარდა.

ბიზნესი უნივერსიტეტის სტრატეგიის განხილვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

2020 წლის 9 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია საქართველოს საგანგებო და სრულფუნქციონირებადი კონსულატი, ბატონი იოსებ ჩხიკვიშვილი. სტუმარს შეხვედრა: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასისტენტ-პროფესორი თინათინ კლასონია და რექტორის აპარატის უფროსი ირინა კაპეტივაძე. პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ ისაუბრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და გერმანიის წამყვანი უნივერსიტეტების წარმატებული ურთიერთობების მრავალწლიან ტრადიციაზე. ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე და ევროკავშირის პროექტის – ERASMUS+-ის – საერთაშორისო მოხილვების ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი წაყოფიერდა თანამშრომლობის

გერმანიის ისეთ ცნობილ უნივერსიტეტებსა და კლინიკებთან, როგორებიცაა: მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკები, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის კლინიკები, ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი, დუისბურგის ყბა-სახის პლასტიკური ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის კლინიკა, ოლდენბურგის კარდიოქირურგიული კლინიკა, კოტბუსის კარლ-თიემის კლინიკა, მიუნსტერის საუნივერსიტეტო კლინიკა და სხვ. ბატონმა იოსებ ჩხიკვიშვილმა მალა-ლი შეფასება მისცა თსუ-ის ჩართულობას ქართულ-გერმანული ურთიერთობების განვითარებაში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა კონსულს პანდემიის პერიოდში გერმანიაში თსუ-ის სტუდენტების მიმართ განეული მზრუნველობისთვის.

თსუ-ის უნივერსიტეტის სტრატეგიის განხილვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

თსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის დოქტორანტი ლამზირა ებრალიძე, DAAD-ის კვლევითი გრანტის ფარგლებში, იმყოფებოდა ბერლინის შარიტეს უნივერსიტეტში. 10 თვის განმავლობაში დოქტორანტი ასრულებდა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ ამოცანებს ტრანსფორმირებული მედიცინის ინსტიტუტში, პროფესორ ჰანს ბოიმლერის ხელმძღვანელობით. ლამზირა ებრალიძე ERASMUS+-ის საერთაშორისო მოხილვების პროგრამით 2018-2019 სასწავლო წელს ოთხი თვით იმყოფებოდა აღნიშნულ კვლევით ინსტიტუტში. სწორედ თსუ-ის ეს შესაძლე-

ბლობა გახდა ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების საწინდარი. შედეგად ლამზირა ებრალიძემ გერმანელი პროფესორის რეკომენდაციითა და ხელმძღვანელობით 2019-2020 სასწავლო წელს მოიპოვა საგრანტო დაფინანსება DAAD-ის ერთწლიანი კვლევითი პროგრამის ფარგლებში. საგრანტო პროექტის კვლევის საგანს წარმოადგენდა ბიოდეგრადირებადი პოლიმერის საფუძველზე ნანოკომპოზიციის შემუშავება, მისი კეთილხარისხიანების მანქანების განსაზღვრა და ბიოლოგიური აქტივობის შეფასება.

პირველი სტრატეგიის განხილვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

აგვისტოს ბოლოს, USAID-ისა და EMORY-ის „ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტის“ ფარგლებში, „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში“ პირველადი დახმარების ტრენინგი ჩატარდა. სწავლება მოიცავდა პირველადი დახმარების ძირითად საფეხურებს. ტრენინგის მიზანი იყო სხვადასხვა შემთხვევის დროს, პირველადი დახმარების ელემენტების თეორიული და პრაქტიკული სწავლებით, პაციენტის სტაბილური მდგომარეობის მიღწევა და შენარჩუნება შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების ბრიგადის მისვლამდე.

პრაქტიკული ცოდნის განმტკიცებისთვის, ტრენინგის დროს, ფიზიკური თერაპევტები PFI-ის მულაჟებზე ცდიდნენ ახალ უნარებს. პრაქტიკულ სწავლებას უძღვებოდა ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში საქართველოში მყოფი დარგის სპეციალისტი, ფიზიკური თერაპევტი კინგა კორხოვიცი. ტრენინგები „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის“ ფიზიკური თერაპევტებისთვის და დარგის სპეციალისტებისთვის, PFID-ის ხელშეწყობით, რეგულარულად ტარდება.



კენ ვოლკერის სახელობის სახელმწიფო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნის ცერემონიაზე

თბილისში კენ ვოლკერის სახელობის სახელმწიფო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნის ცერემონიაზე მონაწილეობის მიზანი რეგიონში პირველი, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული, მაღალკვალიფიციური სარეაბილიტაციო მომსახურებისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური სასწავლო ბაზის შექმნა იყო.

კლინიკის პირველი ამიერკავკასიაში, რომელიც აღჭურვილია ამერიკული და ევროპული მაღალტექნოლოგიური სარეაბილიტაციო მოწყობილობებით და ითვლისნიხებს სრულ კომპლექსურ მულტიდისციპლინურ (გუნდურ მიდგომაზე დაფუძნებული) სარეაბილიტაციო მომსახურებას.

კლინიკის ერთდროულად მოემსახურება 200 ბავშვსა და 250 ზრდასრულს.

კენ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის, ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი პროფესიული განვითარების პროგრამებისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა უწევს პარტნიორობას. ახალგაზსნილ კლინიკაში განთავსდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა სტრუქტურული ერთეული და შეიქმნა სრული სარეაბილიტაციო კლინიკური ბაზა.

კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი გიორგი გახარია, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, მისი აღმატებულება კელი დეგნანი, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, ასევე, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლებისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, ბათუმის მერიის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს – (USAID), სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, თსუ-ის საუნივერსიტეტო და აფილირებული კლინიკების, ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის, ემორის უნივერსიტეტის, ორგანიზაცია – „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ლონისძიება გახსნა და შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა თსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი, არჩილ უნილაშვილი, რომელმაც აღნიშნა: „ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა დღეს თქვენ წინაშე წარდგომა. სულ რაღაც ორნახევარი წლის წინ, ჯერ კიდევ ახლად აღმოცენებული მაღალი კლასის რეაბილიტაციის ცენტრის განვითარების იდეაზე, პროფესორ კენ ვოლკერთან ერთად ვსაუბრობდით. დღეს ეს იდეა რეალიზებულია. ემორის უნივერსიტეტის, კენის მეგობრების და კოლეგების სახელით მიიღო მაღლობა გადავუხადო საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და, მთლიანად, ამერიკულ ხალხს, ასევე, პროექტის განმახორციელებელ პარტნიორებს: ემორის უნივერსიტეტს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, ორგანიზაციებს - „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ და „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის“, შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპს“ ამ პროექტის წარმატებით განხორციელებისა და კენის სახელის უკვდავყოფისთვის“.

საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა გიორგი გახარიამ: „მნიშვნელოვანია ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზანი და შთამბეჭდავანა ყველაფერი, რაც დღეს ვნახეთ – 200 ბავშვსა და 250 ზრდასრულზე გათვლილი სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრი საუნივერსიტეტო კლინიკის ინფრასტრუქტურით და მაღალკვალიფიციური კადრებით, რა თქმა უნდა, არის ერთობლივი მიღწევა. მაღლობა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, უპირველესად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მხარდაჭერისთვის. იდეის რეალიზება

შეუძლებელი იქნებოდა სისტემური თანამშრომლობის გარეშე, რაც გულისხმობს და ერთიანებს ემორის უნივერსიტეტის კომპეტენციას, ქართული ბიზნესის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მხარდაჭერას. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნა, რომელიც სრულად იქნება ორიენტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ფუნქციურ დამოუკიდებლობაზე. უფრო დიდი და მნიშვნელოვანი მიზანი, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები საზოგადოების სრულფასოვან, ღირსეულ წევრებად ვაქციოთ, არ არსებობს – ეს არის ყოველი ჩვენგანის, როგორც სახელმწიფოს, ისე თითოეული მოქალაქის, ვალდებულება. ასევე, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრი იყოს წარმატებული. უნდა აღინიშნოს ცენტრის საერთაშორისო და რეგიონული მნიშვნელობის შესახებ, რადგან იგი მოემსახურება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, არამედ რეგიონის მოსახლეობას.

შეუძლებელია ხაზგასმით არ აღინიშნოს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს – USAID-ის – წვლილის შესახებ ამ პროექტის დასრულებაში. მოგვხსენებთ, ამერიკის შეერთებული შტატები USAID-ის საშუალებით ხშირად გვეხმარება, თუმცა ფინანსურ დახმარებაზე მნიშვნელოვანი მისი მხარდაჭერა და თანადგომის სურვილია და ის წვლილი, რასაც ეს ორგანიზაცია და აშშ-ის მთავრობა ახორციელებს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების, განათლების თუ სამედიცინო სისტემების გაძლიერების კუთხით.

კიდევ ერთხელ მიიღო მაღლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, ვინც ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა. განსაკუთრებული მაღლობა ეკუთვნის პროფესორ კენ ვოლკერს, იდეის ავტორს და სულისჩამდგმელს, რომელიც ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი და გულშემოტიკი იყო. მიიღო, ასევე, წარმატება ვუსურვო ყველა იმ ადამიანს, რომელიც ამ შესანიშნავ სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრში აგრძელებს მუშაობას და ზრუნავს ადამიანების გამოჯანმრთელებისთვის. დარწმუნებული ვარ, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა საზოგადოების ღირსეულ წევრებად იგრძნონ თავი“.

კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნის და ქართველი და ამერიკელი ხალხის მეგობრობის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ, რომელმაც აღნიშნა: „ჯანმრთელობა არის სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ-კულტურულ ცხო-

ვრებაში მონაწილეობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა. ამიტომაც ცენტრი, რომელიც დღეს გაიხსნა, ბუნებრივია, ემსახურება იმ უმთავრეს მიზანს, რომ ჩვენი მოქალაქეები შეუფერხებლად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის და საზოგადოების განვითარებაში, რომ მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების და პოტენციალის სრულყოფილად რეალიზება. ეს ცენტრი გახლავთ ქართველი და ამერიკელი ხალხის მეგობრობის კიდევ ერთი შთამბეჭდავი მაგალითი. საგულისხმო და მრავლისმეტყველია წარწერა USAID-ის ემბლემაზე: „ამერიკელი ხალხისგან“. ეს პროექტი კიდევ ერთხელ თვალნათლივ აჩვენებს, თუ როგორი მეგობრული და მჭიდრო ურთიერთობები არსებობს ჩვენს ხალხებს შორის. ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რომ ეს ურთიერთობები გაგრძელდეს, გაძლიერდეს და ჩვენმა საზოგადოებამ კიდევ უფრო მეტი სიკეთე და პროგრესი მიიღოს ამ მეგობრობისგან. შესაძლოა, ბავშვები, რომლებიც აქ იწყებენ რეაბილიტაციას, ვერ აცნობიერებენ, რომ ეს ცენტრი სწორედ ამ მეგობრობაზე დგას, თუმცა, როცა ისინი გაიზრდებიან და შეიტყობენ, რომ რეაბილიტაცია გაიარეს ცენტრში, რომელიც საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული თანამშრომლობის საფუძველზე აშენდა, დარწმუნდებიან თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს თანამშრომლობა და მეგობრობა... ეს პროექტი სახელმწიფოს, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს, აკადემიურ წრეებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია. მიიღო წარმატებები ვუსურვო აქ დასაქმებულ პერსონალს, ვინაიდან თითოეული ადამიანი, თითოეული პროფესიონალი იქნეს განუზომელ მნიშვნელობას, როცა საქმე ეხება რეაბილიტაციას. ეს არის პროცესი, სადაც იმედი, მედიცინის შესაძლებლობები, შრომა და ვარჯიში, საბოლოო ჯამში, გვადლევს შედეგს და, შესაბამისად, როგორც სხვა ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები, ეს პროექტიც კეთილშობილურ მიზანს ემსახურება.

მიიღო განსაკუთრებული პატივისცემა გამოვხატო და ქედი მოვიხარო ემორის უნივერსიტეტის პროფესორის, თსუ-ის საპატიო დოქტორის, თბილისის და საქართველოს საპატიო მოქალაქის, კენ ვოლკერის ხსოვნის წინაშე, რომელმაც ცხოვრების მნიშვნელოვანი დრო საქართველოს დაუთმო. სწორედ ეს არის ორი ერის მეგობრობის განსაკუთრებული მაგალითი - როცა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მოქალაქეები დროს და ენერჯიას ხარჯავენ ერთმანეთის გასაძლიერებლად, ეს არის ნამდვილი მეგობრობა და კენ ვოლკერი იყო ამ დიდი მეგობრობის თვალსაჩინო მაგალითი. მაღლობა მას, ვინაიდან საქმეები, რომელიც მისი ინიციატივით დაიწყო, გრძელდება და წარმატებით ხორციელდება“.

დასასრული გვ. 4-ზე



კენ ვოლკერის სახელობის სახელმწიფო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნის შედეგად

დასაწყისი გვ. 3-ზე

საზოგადოებას მიესალმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, მისი აღმატებულება კელი დეგნანი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ქართველი და ამერიკელი ხალხის მეგობრობაზე; აღნიშნა, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შშმ პირების უფლებების დაცვის კუთხით: „ჩემთვის დიდი პატივია, რომ მონაწილეობას ვიღებ სამედიცინო რეაბილიტაციის კლინიკის გახსნის ღონისძიებაში. აღსანიშნავია, რომ პარლამენტმა დაამტკიცა კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დაცვის შესახებ, რაც საზოგადოების ამ ნაწილის დასახმარებლად გადადგმული მართლაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ეს კანონი გზას უხსნის ადამიანებს, რომლებიც სრულად ვერ მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ეს არის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ინკლუზიურობისკენ. რა თქმა უნდა, კვლავ ბევრი გასაკეთებელი, თუმცა, აშშ გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას. ჩვენი ვებმარბოდიტის სამინისტროს სახელმწიფო საპოლიტე პროგრამის შემუშავებაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანები, რომლებსაც სჭირდებათ ასეთი სერვისები, ვერ ახორციელებდნენ წვდომას მასზე. საჭიროების მიხედვით, ყველას უნდა მიეცეს შესაძლებლობა ასეთ ცენტრში გაიაროს რეაბილიტაცია. მისასაღებელია, რომ მთავრობამ აღიარა ეს პრიორიტეტი და იმედი მაქვს, შშმ პირები ამ მომსახურებით სრულად ისარგებლებენ“, — განაცხადა კელი დეგნანმა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა, ეკატერინე ტიკარაძემ, აღნიშნა, რომ კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა ქართველი საზოგადოებისთვის დიდი მონაპოვარია და ორი ქვეყნის მეგობრობის და პარტნიორობის თანამშრომლობის სიმბოლოა: „რა თქმა უნდა, პრევენცია მნიშვნელოვანია, მაგრამ რეაბილიტაცია, ასევე, უმნიშვნელოვანესია ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც ნამდვილად საჭიროა მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება. კენ ვოლკერის იდეამ ცხადყო, რომ ერთობლივი ძალისხმევით ბევრის მიღწევა შესაძლებელია. ვიმედოვნებთ, კლინიკა ჩვენი პაციენტებისა და საზოგადოებისთვის დიდი მონაპოვარია. დარწმუნებული ვარ, ყველა ის სპეციალისტი, რომელიც სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე აღზრდილია, შეძლებს დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს მოქალაქეებს საჭირო უნარ-ჩვევების შექმნასა და რეაბილიტაციაში. მადლობა მინდა გადავუხადო, ამერიკის შეერთებულ შტატებს ყველა განხორციელებული პროექტისთვის“.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა, საზოგადოებას მიულოცა ღირსშესანიშნავი დღე და მადლობა გადაუხადა ამერიკელ პარტნიორებს და მეგობრებს თანამშრომლობისთვის, ისაუბრა პროფესორ კენ ვოლკერის განსაკუთრებულ როლზე ამ მნიშვნელოვანი პროექტის შემუშავებისა და, ზოგადად, ქართული სამედიცინო სფეროს განვითარების საქმეში. ამერიკელი პროფესორი გახლდათ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი, უაღრესად შეყვარებული საქართველოზე. მას ბევრი აქვს გაკეთებული აღნიშნული პროექტის და ქართველი სტუდენტების განათლებისთვის. მინისტრმა ისაუბრა კლინიკის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი განზომილებების შესახებ, კერძოდ, თსუ-ის სტუდენტებს საშუალება ექნებათ, აქ მიიღონ უაღრესად მნიშვნელოვანი კლინიკური განათლება შესაბამისი ფიზიკური რეაბილიტაციის მიმართულებით და ამ კლინიკაში აღიზრდებიან თაობები. გარდა ამისა, უცხოელ პარტნიორებთან, ასევე, ემორის უნივერსიტეტის და სხვა ნამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, აქ წარმართება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დარგის სამეცნიერო პოტენციალს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, საზოგადოებას მადლობა მოახსენა კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობისთვის და აღნიშნა: „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელით მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისა და კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობისთვის“.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გამორჩევა სწავლების, კვლევის და დაავადებათა მართვის ხარისხითა და სამედიცინო განათლების სფეროში ინოვაციური პროექტებით.

ამის დასტურია ისიც, რომ სულ ახლახან, 2019 წლის მაისში, ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციამ თავისი რიგით მესამე და ჯერჯერობით უკანასკნელი ოფისი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გახსნა.

ჩვენი უნივერსიტეტი მიმზიდველია არა მარტო ქართველი, არამედ მსოფლიოს, ახლა უკვე 72 ქვეყნის 2500-ზე მეტი ახალგაზრდისთვის. დიას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყოველი მესამე სტუდენტი საერთაშორისო სტუდენტია.

ყოველივე ზემოაღნიშნულში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებს.

საერთაშორისო პარტნიორებიდან კი, უპირველესად, უნდა გამოვყოთ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს - USAID-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის, "Georgia to Georgia"-ს ფარგლებში, 1992 წელს თბილისში ემორის უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორის კენ ვოლკერის ჩამოხრძანება.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არცერთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორს საქართველოს სამედიცინო განათლების და ჯანდაცვის სისტემების განვითარებისათვის

არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც თავისი მეოთხედასაუკუნოვანი მოღვაწეობით პროფესორმა კენ ვოლკერმა განახორციელა. მისი დასახურებაა, რომ 1992 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ემორის უნივერსიტეტთან. ამ ურთიერთთანამშრომლობის ნიადაგზე მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, რომელთაგანაც აღსანიშნავია საქართველოში გადაუდებელი მედიცინის პროექტი, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები; ქართული საგანმანათლებლო სფეროს სიამაყე დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამა. ამ პროგრამამ ჩვენს უნივერსიტეტში ფუნქციონა 2013 წელს დაიწყო და ერთადერთია მთელს რეგიონში. „ფიზიკური რეაბილიტაციის განვითარების პროექტი საქართველოში“ პროფესორ კენ ვოლკერის ერთ-ერთი ბოლო პროექტი იყო.

ამ პროექტის ფარგლებში ემორის უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თანამშრომლობენ ქვეყანაში ფიზიკური რეაბილიტაციის სასწავლო და კლინიკური ბაზების განვითარების მიმართულებით. „ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტი საქართველოში“ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს - USAID-ის მხარდაჭერით ხორციელდება. ემორის უნივერსიტეტის ხელშეწყობით, „ფიზიკურ თერაპევტა მსოფლიო ასოციაციის“ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდა თსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სასწავლო პროგრამა.

ჩვენი პარტნიორების და კერძო ორგანიზაცია „ფორსაით ინვესტმენტ გრუპს“ შორის წარმატებული თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური კლინიკა - კენ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელშიც განთავსებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა აკადემიური და კლინიკური სტრუქტურული ერთეული.

აღნიშნული ხელს შეუწყობს თსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტების უნარ-ჩვევების სათანადო განვითარებას, მედიცინის ამ მნიშვნელოვანი მიმართულებით კლინიკური საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების განვითარებას.

დაბოლოს, ამ უდიდეს საქმეში მხარდაჭერისა და თანადგომისათვის მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს ხელისუფლებას, ამერიკელ ხალხს, აშშ-ის საელჩოს საქართველოში, ემორის უნივერსიტეტს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ყველა პარტნიორს, თითოეულ ჩვენს თანამშრომელს, პროფესორს და სტუდენტს.“

გია მორჩილაძემ, „ფორსაით ინვესტმენტ გრუპს“ ხელმძღვანელმა, გამოსვლისას საზოგადოებას აღნიშნული პროექტის მნიშვნელობასა და ისტორიაზე მოუთხრო, კერძოდ, აღნიშნა, თუ რამდენად პრობლემური იყო სარეაბილიტაციო სერვისების მიღება გასულ წლებში ჩვენს ქვეყანაში და თუ როგორ ხდებოდა შესაძლებლობების აქტიური მოძიება პროექტის შესაქმნელად. მისი აღნიშვნით, სამიოდე წლის წინ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დაამტკიცა პროექტი ემორის უნივერსიტეტთან, თსუ-სთან, კორპორაციასთან - „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის“ და ორგანიზაციასთან - „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ - ერთად, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის შესახებ, რომელიც მოიცავდა სწავლებისა და გამოცდილების გაზიარებას მედიცინის მუშაკებისა და რეაბილიტაციის დარგში დაკავებული სპეციალისტებისთვის. გამოსვლელმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი გახარიას, იმხანად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელს, რომლის დიდი წვლილია აღნიშნული პროექტის მხარდაჭერის საქმეში.

პროფესორ კენ ვოლკერის სურვილი, საქართველოს დიდ ქალაქებში გახსნილიყო სარეაბილიტაციო კლინიკები, დღის წესრიგშია და ყველაფერი გაკეთდება მისი განხორციელებისთვის“, — აღნიშნა გამომსვლელმა.

საზოგადოებას სიტყვით მიმართა კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის კლინიკის დირექტორმა, თსუ-ის პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა: „ამაყი და უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მაქვს გიმასპინძლოთ კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში. რეაბილიტაცია არის მედიცინის ერთ-ერთი რთული და აქტუალური დარგი. ხშირად სამედიცინო ჩარევის ეფექტურობა სწორედ სარეაბილიტაციო პროცესების სწორად და დროულად მართვაზე დამოკიდებულია. ეს კლინიკა უკვე არის ადგილი, სადაც ყველა ადამიანს - ბავშვსაც და მოზრდილსაც, ჩვენი ქვეყნის და და არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მაღალი ხარისხის სამედიცინო სარეაბილიტაციო მომსახურება, რასაც უზრუნველყოფენ კლინიკაში დასაქმებული მაღალპროფესიონალებით დაკომპლექტებული მულტიდისციპლინური გუნდები. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ კლინიკაში განთავსდება თსუ-ის რეაბილიტაციის მიმართულების დეპარტამენტები და რეაბილიტაციის სპეციალისტები სწორედ ამ კლინიკაში აღიზრდებიან. ახალგაზრდა თაობები მომავალში რეაბილიტაციის სფეროში დასაქმდებიან საქართველოს სხვადასხვა კლინიკაში, რაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს რეგიონებში რეაბილიტაციის სერვისებით ისარგებლონ.“

შეხვედრის ბოლოს, კლინიკის ეზოში საზეიმოდ გაიხსნა პროფესორ კენ ვოლკერის მემორიალი; ძველის ავტორი მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძე გახლავთ.



აღიარება

თსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) საპატიო წევრად აირჩიეს

სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაცია (ტრადიციულად, ცნობილი, როგორც ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაცია – AMEE (Association for Medical Education in Europe) მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული და წარმომადგენლობითი ორგანიზაციაა, რომლის კოორდინაციით და ხელმძღვანელობით ხორციელდება ყველა მნიშვნელოვანი ინოვაცია სამედიცინო განათლების სფეროში, ყოველწლიურად ატარებს კონფერენციებს, სადაც განიხილება სამედიცინო განათლებაში ახალი მეთოდოლოგიები, მიღწევები და მომავალი პერსპექტივები.



2020 წლის 7-9 სექტემბერს, COVID-19-ის პანდემიის გამო, AMEE-ის კონფერენცია ვირტუალურ სივრცეში გაიმართა. მიუხედავად უჩვეულო ფორმატისა, კონფერენციაში მონაწილეობდა 3000-ზე მეტი დელეგატი მსოფლიოს 93 ქვეყნიდან. კონფერენცია გახსნა AMEE-ის პრეზიდენტმა, პროფესორმა ტრევორ გიბსმა. შესავალი სიტყვის დასასრულს AMEE-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში სამედიცინო განათლების განვითარებასა და ინოვაციების განხორციელებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, თბილისის სახელმწიფო სამედი-

ცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, არჩეულია AMEE-ის საპატიო წევრად. პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაუხადა პროფესორ ტრევორ გიბსს მის მიერ გაწეული ღვაწლის აღიარებისთვის და ყურადღება გაამახვილა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და AMEE-ის შორის ტრადიციულ, მრავალწლიან

და ნაყოფიერ თანამშრომლობაზე. რისი ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება იყო 2019 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მსოფლიოში მესამე, რეგიონული მნიშვნელობის, AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის გახსნა, სადაც რეგულარულად მიმდინარეობს ტრენინგები სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში.

პანდემიასთან ბრძოლაში ქართველი ექიმების მიღწეული წარმატების კიდევ ერთი დასტური - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიკოსთა ერთობლივმა ნაშრომმა ევროპის ინფექციონისტთა და მიკრობიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის მონაწილეთა დიდი ინტერესი და მონონება დაიმსახურა

ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი, პროფესორ ელზა ვაშაკიძის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, პროფესორ ლევან რატიანის ხელმძღვანელობით, პანდემიის დასაწყისიდანვე ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან და წარმატებით ებრძვიან თანამედროვე მსოფლიოს „უხილავ მტერს“. სწორედ ამ თავდაუზოგავი შრომის შედეგი – პანდემიის პირობებში ახალი COVID-19-ის ვირუსით დაავადების მიმდინარეობის ზოგიერთი თავისებურება – აისახა სამეცნიერო შრომაში და გაიგზავნა ევროპის ინფექციონისტთა და მიკრობიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც ონლაინ რეჟიმში ჩატარდა.



ნაშრომმა მსოფლიოს მეცნიერთა დიდი ინტერესი დაი-

სახურა, რაც აისახა კიდევ ამავე რეჟიმში გამართულ სამეცნიერო დისკუსიაში. ნაშრომის ავტორები არიან – პროფესორები თამარ მეგრელიშვილი, ელზა ვაშაკიძე, ლევან რატიანი, კახა ჭელიძე, თამარ გეგეშიძე, ნინო ყიფიანი, ელენე პაჭკორია, მარინა ჯანგაგაძე-მეტრეველი.

#00256 Manifestation of Neurological Symptoms in Covid 19 patients in Georgia

c. Clinical features, case management, outcome
T. Megrelishvili, E. Vashakidze, L. Ratiani, K. Chelidze, T. Gegeshidze, E. Pachkoria, N. Kipiani, M. Metreveli-Jangavade, Tbilisi State Medicia University - Tbilisi (Georgia)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორებს საპატიო თბილისელის წოდება მიენიჭათ



მო ღონისძიება სახელმწიფო ცერემონიების სასახლის ეზოში გაიმართა.

საპატიო თბილისელის წოდება პანდემიასთან მებრძოლ ცხრა ექიმს მიენიჭა: ამირან გამყრელიძეს – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურ დირექტორს; პაატა იმნაძეს – დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეს მეცნიერების დარგში; მარინა ენდელაძეს – ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ბოქსირებული განყოფილების გამგეს; თენგიზ ცერცვაძეს – ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის გენერალურ დირექტორს; მარინა ეზუგ

ლევან რატიანს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურ დირექტორს, თსუ-ის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს; ელზა ვაშაკიძეს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს; დავით გადელიას – აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკის გენერალურ დირექტორს.

„განსაკუთრებით მინდა მივულოცო წლებიდანელი თბილისობა ადამიანებს, რომლებიც ახლა უცნაურ ვირუსს ებრძვიან. მინდა გავამხნეო ისინი და ვუთხრა, რომ მარტო არ არიან ამ ბრძოლაში. მათ გვერდით არის სახელმწიფო და მათ გვერდით არიან ქართველი მედიკოსები, რომლებიც არასდროს მარცხდებიან...“

არაფერია იმაზე საპატიო მისია, იდეა ადამიანების სიცოცხლის სადარაჯოზე. ყველაფერი უფერულდება, როდესაც საქმე ეხება ადამიანთა ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს თსუ-ის პროფესორებს: ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს – ელზა ვაშაკიძეს, თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურ დირექტორს, ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ლევან რატიანსა და აკადემიკოს ნ. ყიფიანის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის (რესპუბლიკური საავადმყოფოს) დირექტორს ლევან გოფოძეს დამსახურებულ აღიარებას – საპატიო თბილისელის წოდების მინიჭებას.




ჩვენს ქვეყანაში ტრადიციად ქცეული საშემოდგომო დღესასწაული – „თბილისობა“ – წელს, გართულებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, მოკრძალებულად აღინიშნა და ფართო საზოგადოებისთვის ტელევიზიის საშუალებით გადაიკცა. დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ, საპატიო თბილისელები დააჯილდოვა. საზეი-

ბაიას – ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის სამედიცინო დირექტორს; ლევან გოფოძეს – აკადემიკოს ნ. ყიფიანის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის, ე. წ. რესპუბლიკური საავადმყოფოს, დირექტორს, თსუ-ის ქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს;



ჯგეროვნო საუნივერსიტეტო ქმედებები



პირველსემესტრული დაჯილდოება



პირველსემესტრული სტუდენტთა მისალოცი, საზეიმო ღონისძიება განსხვავებული ფორმებით, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მონოტელეობასთან ერთად, მნიშვნელოვან დაცვით წარმართა. აღნიშნულის გამო, მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარება საზეიმო ვითარებაში ვერ მოხერხდა. თსუ-ის ადმინისტრაციამ, სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად, მნიშვნელოვან ტრადიციას არ უღალატა: – განსხვავებულ ფორმატში წარმართა 10 ყველაზე მაღალრეიტინგული პირველსემესტრული სტუდენტის დაჯილდოება.

11 სექტემბერს თსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, ანა კაკაბაძე ყველაზე მაღალრეიტინგულ პირველსემესტრელებს შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ ვიცე-რექტორები: პროფესორი ხათუნა თოდაძე და ასოცირებული პროფესორი სოფიო ბახტაძე.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, ანა კაკაბაძემ, სახელმძღვანელოები და თსუ-ის სიმბოლიკიანი სამახსოვრო საჩუქრები გადასცა მაღალრეიტინგულ სტუდენტებს: მარიამ მანაგაძეს, ნინო ბერიძეს, ლიზი კურცხალიას, ქრისტინე სარალიძეს, ქეთევან ქართველიშვილს, სალომე ტორაძეს, ანდრო ფხალაძეს, ნია შოშიტაშვილს, ანა კახნიასვილს, გიორგი ჯამბურას.

მათ შორის ყველაზე მაღალრეიტინგული პირველსემესტრული – მარიამ მანაგაძე თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, ლეპტოპით დააჯილდოვა.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების არა მარტო მედიცინის, არამედ ყველა სხვა პროფილის პროგრამების გათვალისწინებით, ერთიან როდენულ გამოცდებზე, თსუ-ის მედიცინის პროგრამებზე უპრეცედენტოდ მაღალი ბარიერია. შესაბამისად, ნელსაც, როგორც აქამდე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გათვალისწინებით, თსუ-ში ყველაზე მოტივირებული და მაღალი შედეგის მქონე სტუდენტები ირიცხებიან.

პირველსემესტრელებმა სიამოვნებით გაგვიზიარეს შთაბეჭდილებები:

მარიამ მანაგაძე, მედიცინის ფაკულტეტის ყველაზე მაღალრეიტინგული პირველსემესტრული:

მომავალი პროფესიის განსაზღვრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისია თითოეული ადამიანისთვის. როდესაც, მომავალ პროფესიად ექიმობა ავირჩიე, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. მას შემდეგ ერთხელაც არ შემიცვლია გადაწყვეტილება, რადგან მივიჩნევ, რომ იგი ყველაზე კეთილშობილური პროფესიაა. მიყვარს ადამიანებზე ზრუნვა, დახმარება, მათი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა. დიას, ექიმობა რთული და სა-



პასუხისმგებლობა, ბევრ შრომასა და ნებისყოფას მოითხოვს, რაც თავიდანვე კარგად მქონდა გააზრებული.

სკოლაში სწავლისას არაფრით გამოვიჩინე. როდესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე შევაჩერე არჩევანი, დედამ გამაფრთხილა: – „სამედი-

ცინო უნივერსიტეტში საუკეთესო ახალგაზრდები სწავლობენ, შეძლებ მათ გვერდზე ღირსეულად დგომას?“

ამ დღიდან ჩემთვის ცხოვრების მთავარ გამოწვევად იქცა – გავმხდარიყავი თსუ-ის სტუდენტი. ნათქვამია, როდესაც რაიმე გულით გსურს, სამყაროც ხელს გინცობს მიზნის მიღწევაში. ვერ გადმოგცემთ სიხარულის იმ განცდას, რომელიც

ეროვნული გამოცდების შედეგების გაცნობის შემდეგ დამეუფლა, თანაც არავინ ელოდა, რომ საუკეთესო ტოპათეულს სტუდენტებში მოხვდებოდი. ჩემთვის დაუფინყარია ათი მაღალრეიტინგული სტუდენტის დაჯილდოების დღე, რომელიც მოკრძალებულად ჩატარდა, თუმცა უდიდესი ემოცია დამიტოვა. სასიამოვნოა ასეთი გამარჯვება და საამაყო, რომ ყველაზე მაღალრეიტინგული პირველსემესტრული, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, ლეპტოპით დამაჯილდოვა. თსუ-ში ჩემი მოლოდინი გაამართლა და დამარწმუნა, რომ არჩევანში არ შევეცდარე. დამხვდა მეგობრული, თავისუფალი გარემო, გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი. სამწუხაროდ, პანდემიის გამო, ერთი კვირა შევძელით უნივერსიტეტში სიარული, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ერთი კვირა საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში.

ჯერ არ ვიცი სამომავლოდ მედიცინის რომელ მიმართულებას ავირჩევ, ვფიქრობ, ყველაფერს სწავლის პროცესში მივხვდები.

სურვილი მაქვს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ სწავლა საზღვარგარეთ გავაგრძელო, პროფესიონალად ჩამოვყალიბდე, ღირსეულად ვემსახურო ჩემს ქვეყანას და ექიმისთვის უზენაეს დანიშნულებას – ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვას.

ქეთევან ქართველიშვილი, მედიცინის ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტი: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვამ ჩემს ცხოვრებას უდიდესი ხიბლი შესძინა და დამეხმარა იმ უდიდესი ღირებულების შეცნობაში, როგორცაა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა. ჩემგან, როგორც ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის მოსწავლისგან, ისეთი ტექნიკური მიმართულების არჩევას ელოდნენ, როგორცაა: კომპიუტერული მეცნიერება, ეკონომიკა, ბიზნეს-ადმინისტრირება და ა.შ. თსუ-ში ჩაბარება ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, თუმცა, სასიხარულო, რადგან თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სამედიცინო განათლების მიღება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უმაღლესი ხარისხითაა შესაძლებელი, რაც უცხოეთში სასწავლებლად წასვლას სავალდებულოს და აუცილებელს აღარ ხდის. ათეულში მოხვედრა ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან აქ ჩარიცხვაზე უდიდესი მოთხოვნაა, რაც ზრდის კონკურენციას. წარმატებამ კიდევ უფრო დიდი მოტივაცია მომცა, რომ სიღრმისეულად შევისწავლო მედიცინა, განსაკუთრებით, ჩემი ინტერესის მთავარი სფერო – ნეირომეცნიერება.

ანდრო ფხალაძე, მედიცინის ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტი:

არასდროს მივეკუთვნებოდი აბიტურიენტთა იმ ჯგუფს, რომლებიც ბავშვობიდანვე დარწმუნებული არიან, რომ მედიცინა მათი მოწოდებაა და სხვა სფეროში თავი ვერ წარმოუდგენიათ. პირიქით, რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებიდან ძალიან სპონტანურადაც კი, გადავწყვიტე საკუთარი თავი ამ ასპარეზზე გამოემეცა და, ცოტა არ იყოს, რთულ გზას შევჭიდებოდი.

ეროვნული გამოცდების შედეგები მოულოდნელი არ ყოფილა, გამომდინარე იქედან, რომ ამ ყველაფრისთვის 12 წლის განმავლობაში ვშრომობდი. თუმცა, რასაკვირველია, მაინც ძალიან სასიამოვნოა, როგორც 100%-იანი გრანტი, ასევე, საუკეთესო ათეულში მოხვედრა.

უკვე ერთი თვე ხდება, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ და, მინდა გითხრათ, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს გზა საკმაოდ შრომატევადია და დიდ დროსა და ენერჯიას მოითხოვს თითოეული ჩვენგანისგან. ამ ყველაფერს თან ერთვის პანდემიის გამო შექმნილი შეზღუდვები და, იმედია,

მაღე შევძლებთ აუდიტორიებში ნამდვილი სტუდენტური ცხოვრების დაწყებასა და სამედიცინო განათლების არადისტანციურად მიღებას.

სალომე ტორაძე, მედიცინის ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტი:

ვფიქრობ, იდეალისტი არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ იმ საფეხურთან, რომლებიც მენს ცხოვრებას და სამყაროს ცვლის, უნივერსიტეტში ჩაბარება ერთ-ერთი უმთავრესია. ამ დროს იწყებ ოცნებას, რომელზეც მომავალი უნდა დააშენო. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველთვის ტრადიციულად ჩემს გონებაში. ეს არასოდეს იყო გადაწყვეტილი მოსაზრება, მაგრამ იყო ყოველთვის სათუთად შენახული აზრი. საბოლოოდ კი, ბედმა თუ იღბმა ალმა აწარმოდა აქ მომიყვანა.

ამ პროფესიას არ ვუყურებ ზედმეტად რომანტიზებულად. ის ჩემთვის მეტად ეკლექტიკურია – უპირველეს ყოვლისა, მასში მიზნად განსაზღვრული დაუოკებელი ნაღილი – ვიცი, რომ არასოდეს იქნება ექიმობა მოსაწყენი და მდორე, რადგან მედიცინა სწორედ მომავალია – სიახლე, წინსწარვა, სიცოცხლე... ადამიანების დახმარების საშუალება კი უდიდესი ბოზუსია.

სამედიცინო უნივერსიტეტზე დიდ იმედებს ვამყარებ – ჩემს ცნობიერებაში ის დისციპლინასთან, შრომასა და გარჯასთანაა დაკავშირებული. კონკრეტულად კი, იმ მრავალფეროვანი არჩევანიდან, რომელსაც ეს უნივერსიტეტი გვთავაზობს, რთულია ზუსტი მიმართულება შეარჩიო. ამიტომ ჯერ არც მე მაქვს გადაწყვეტილი.

სამწუხაროდ, ჩემს წარმოსახვაში არსებული უნივერსიტეტის პირველი სასწავლო დღე, სხვადასხვა – კონკრეტული და ზოგადი – სირთულის გამო, არ გამოდგა ისეთი, როგორც ვოცნებობდი, მაგრამ მალე, ახალ ტალღაზე მომართული, მეტად მონადინებული დაუბრუნდები სწავლას და, იმედია, დასახულ მიზანს მივაღწევ.

გიორგი ჯამბურია, მედიცინის ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტი:

საბუნებისმეტყველო საგნებზე ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში მომწონდა. მასობა, რამხელა ზეგავლენა მოახდინა ჩემზე უფროსი ბიძაშვილების ნიგნების თვალყურისას შემჩნეულმა მენდელეევის პერიოდულმა სისტემამ, გენმოდიფიცირებულმა თავგმა, მაგნიტურმა ძალნიგნებმა... თანამედროვე მედიცინას სწორედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები უდევს საფუძვლად. ექიმის დანიშნულებაც ყველასთვის კარგად ცნობილია. ამიტომ, ვფიქრობ, საუკეთესო გადაწყვეტილება მივიღე.

ნინო ბერიძე, მედიცინის ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტი:

გ.კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში სწავლისას ბიოლოგიის წრეზე დავდიოდი, და ამ საგანს გაღრმავებული სურვილი ესწავლობდი. როგორც აქ დავინტერესდი მედიცინით. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით თსუ-ში ჩარიცხულ აბიტურიენტთა შორის რეიტინგით მეორე ვარ. ასეთი კონკურენტულ უნივერსიტეტში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგით ჩარიცხვა ჩემთვის ნამდვილად სასიხარულოა და კიდევ უფრო მიმაღლებს მოტივაციას სამომავლო გეგმების შესასრულებლად. კონკრეტულად მედიცინის რომელ დარგს ავირჩევ, ჯერ არ ვიცი, მაგრამ მიზნად მაქვს დასახული, ვიყო პროფესიონალი საკუთარ საქმეში.

ქრისტინე სარალიძე, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტი:

მედიცინის ფაკულტეტზე აბარებენ ახალგაზრდები, რომლებიც ძირითადად ორ კატეგორიად იყოფიან: პირველს – ექიმობა ბავშვობიდან უნდა, მეორეს კი აქეთკენ ქიმიკ-ბიოლოგიის სწავლით მიინტერესებოდა სიახლედ და ინტერესი უბიძგებს. მე პირველ კატეგორიას მივეკუთვნები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სწავლისას, გარკვეუ-

ლნილად, განსაზღვრული მქონდა ჩემი მომავალი, სამწუხაროდ, არ მიზრუნია იმაზე, რომ საფუძვლიანად მესწავლა ის საგნები, რომლებიც ეროვნულ გამოცდებზე ჩავაბარე. ოთხივე საგნის საფუძვლიანი შესწავლა, ფაქტობრივად, ზუსტად ერთი წლის წინ დავინყე. თსუ ყველაზე მაღალრეიტინგული უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელია საქართველოში და გამარჯვების მოპოვებაც გამოცდებზე ყველაზე რთულია, სწავლა კი – პრესტიჟული. მაღალრეიტინგულ სტუდენტთა ათეულში მოხვედრამ იმ ფრანსის სისწორე და ღირებულება დამანახა, რომელიც ადრე ასე ბანალური მეჩვენებოდა:

„შეუძლებელი არაფერია, თუ მოინდომებ“. ამ წარმატებით გავიძებული მოტივაციით დავისახე მიზანი, რომელიც მომავალში არაერთი გამარჯვების მომტანი იქნება.

ლიზი კურცხალია, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტი:

დავამთავრე კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა და ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე. მედიცინა ბავშვობიდან მაინტერესებდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება პროფესიული არჩევანის შესახებ მერვე-მეცხრე კლასში მივიღე, რაც ჩემი ბიოლოგიის მასწავლებლის დამსახურებაა. ძალიან მიხარია, რომ მოხვდი ათეულში – ეს დიდი მოტივაციაა ჩემთვის. მჯერა, სტუდენტობის წლები ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და დასამახსოვრებელი იქნება ჩემს ცხოვრებაში.

ნია შოშიტაშვილი, ფარმაციის ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტი:

მედიცინით ბავშვობიდანვე დავინტერესდი. ვიცი, რომ პროფესიაც ამ სფეროში უნდა მეძებნა. სკოლაში ეს რწმენა გამიღრმავდა, რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საბუნებისმეტყველო საგნები ჩემთვის მარტივად გასაგები და ასათვისებელი იყო. მიუხედავად ამისა, აბიტურიენტობისას მთელი დატვირთვით ვმეცადინებოდი, რამაც შედეგი გამოიღო და, სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად, უნივერსიტეტის მაღალრეიტინგულ პირველსემესტრელთა ათეულშიც მომაპოვებინა ადგილი. სამწუხაროდ, კორონავირუსის გამო, ჯერჯერობით, სრულყოფილი სტუდენტური ცხოვრება არ მაქვს, მაგრამ მჯერა, ეს პერიოდი ჩავივლის და მალე შევაბიჯებ ჩემს უნივერსიტეტში.

ანა კახნიასვილი, მედიცინის ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტი:

ბავშვობიდან მინდოდა ექიმის პროფესია შემეწავლა და არასოდეს მიფიქრია სხვა პროფესიის არჩევაზე. ამისდა ოცნება და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი სემესტრის სტუდენტის გავხდი. უბედნიერესი ვიყავი, რომ მუდმივი სწავლის და შრომის ფასად ბოლოს და ბოლოს მივაღწიე დასახულ მიზანს.

ჩემი წარმატება მხოლოდ ჩემი დამსახურება როდია. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მშობლებს, რომლებმაც მასწავლეს შრომის, ადამიანური ურთიერთობების ფასი, ის რომ დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე შემხვედრმა სიძნელეებმა არ უნდა შეგამინოს; მასწავლებლებს, რომლებიც ჩემთან ერთად ცდილობდნენ, მოეცათ მაქსიმალური ცოდნა და შედეგაც შესაბამისი აღმოჩნდა.

ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საუკეთესო ათეულში აღმოვჩნდი, რაც ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო.

საუკეთესო უნივერსიტეტს რჩეული ახალგაზრდების ახალი ნაკადი შეემატა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა ბევრს გვავალდებს, უპირველესად, სწავლას, უნივერსიტეტის საუკეთესო ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას, რათა გავუმკლავდე იმ გამოწვევებს და მოთხოვნებს, რასაც 21-საუკუნის მედიცინა გვავალდებს უზენაესი პროფესიის მსახურთ – ექიმებს.



თსუ-ის გვირგვინის სახელობის პედიატრიის პედიატრიული კლინიკის უნიკალური ოპერაციის ჩატარება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გვირგვინის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკაში, ძალიან მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩატარდა, რომელმაც 1 წლის და 4 თვის პაციენტს სიცოცხლე შეუნარჩუნა. აღსანიშნავია, რომ ეს ქირურგიული ოპერაცია საქართველოში პირველად განხორციელდა. პაციენტს 5 დღის განმავლობაში აწუხებდა ხშირი ხველა, ვერ იღებდა საკვებს და წყალსაც კი, გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა უცხო სხეული საყლაპავის პირველი ფიზიოლოგიური შევიწროების ქვევით. აღნიშნული პათოლოგიისთვის 5 დღის შემდეგ კლინიკაში შესვლა ძალიან დიდი დაგვიანების მაჩვენებელია და უდიდეს რისკს უკავშირდება.



წყალში სხნადი კონტრასტის შეყვანილი აღმოჩნდა საყლაპავის უკანა კედლის პერფორაცია და ტრაქეოფოვადგალური ფისტულა, შუასაყარის ანთების გარეშე.

მკურნალობის ტაქტიკა განიხილეს ტელემედიცინის საშუალებით ხაიფას რამბამის სამედიცინო ცენტრის (ისრაელი) და ჩიკაგოს პედიატრიული კლინიკის (აშშ) ბავშვთა ქირურგიულ დეპარტამენტებთან. შეირჩა ტაქტიკა - კონსერვატიული მკურნალობის გაგრძელება, მწვავე პროცესის ჩაცხრომამდე და საყლაპავ-ტრაქეის ფისტულის ჩამოყალიბება.

მას შემდეგ, რაც პაციენტს მოემატა ტრაქეოტომია აღიარდა ექსუდატის რაოდენობა, სანაციურ ბრონქოსკოპიებს არ ექვემდებარებოდა, რის გამოც ქირურგებმა იფანე წულეის-კირმა, ასოცირებულმა პროფესორმა ავთანდილ კუტუბიძემ და ნიკა ბუაძემ

ჩატარეს სტერნალური მიდგომით თორაკტომია, საყლაპავის და ტრაქეის პერფორირებული ნაწილების რეზექცია და რეკონსტრუქციული უნიკალური ოპერაციები.



პაციენტის მკურნალობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რეანიმატოლოგებმა: დოდო გველესიანი და ანა იაკობაშვილმა; ანესთეზიოლოგებმა: ნინო შეროზიამ და გოგა იორამაშვილმა; კლინიკის მთელმა სამედიცინო პერსონალმა.

ოპერაციიდან 14 დღის შემდეგ ბრონქოსკოპიით და 5 მმ გასტროსკოპიით შეფასდა ტრაქეის და საყლაპავის სანათური, ასევე ჩატარდა საყლაპავის კონტრასტული რენტგენოლოგიური კვლევა, რამაც დადებითი შედეგი დააფიქსირა: შერმეტიზმი და სანათური ნორმალურ მდგომარეობაში იყო.

ჩატარებული ოპერაციული მკურნალობა იყო საკმაოდ რთული და იშვიათი, თუმცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გვირგვინის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკაში ამ სირთულეს მაღალ დონეზე გაუმკლავდნენ.

ვულოცავთ თსუ-ის გვირგვინის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ყველა თანამშრომელს ამ დიდ წარმატებას!

მონაზადა
ლალა შუკანაძე



თბილისის სახელმწიფო საპედიატრიო უნივერსიტეტის პროფესორის კიდევ ერთი აღიარება



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით და ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ჩატარდა კონკურსი საუკეთესო ინოვაციური პროექტების გამოსავლენად. სამაჟორის, რომ ექვს საუკეთესო აღმოჩენას შორის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სოციალური და კლინიკური ფარმაცის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ თამაზ ჭუმბურიძის პრეპარატი „დეულერ-ც“ დასახელდა. მრავალეტაჟიანი ექსპერტული შეფასების შედეგად, ინოვაციამ მხარდაჭერა და დაფინანსება მოიპოვა. ინოვაციური, ანტიალერგიული პრეპარატი „დეულერ-ც“ მოქმედების ფართო სპექტრით გამოირჩევა. რაც მისი ანტიჰისტამინური და ანტიე-როტონინური მოქმედების დამსახურებაა. მედიკამენტი არ გადის ჰემატონეცეფალურ ბარიერს, არ იწვევს ძილიანობას, მხედველობის დარღვევას და გარემოს აღქმის ცვლილებებს. პრეპარატმა წარმატებით გაიარა სტანდარტიზაცია, პრეკლინიკური და

კლინიკური კვლევები და რეგისტრირებულია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ნაშლის სააგენტოს მიერ.

ამასთან დაკავშირებით, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციამ რამდენიმე კითხვით მიმართა პროფესორ თამაზ ჭუმბურიძეს:

- რამდენად რთულია გზანივითიდან პრეპარატად?

- გზა ნამდვილად რთულია, რადგან უამრავი კვლევა სჭირდება. ამ რთული გზის გავლას თანამედროვე პირობებში 10-15 წელი ესაჭიროება, თანაც, ძლიერი ფინანსური მხარდაჭერით.

- თანამედროვე პირობებში მეტი სირთულეა?

- დიას, მოთხოვნები წამლის უსაფრთხოებასა და ეფექტურობის მიმართ წლიდან წლამდე იზრდება, რთულდება კვლევის მეთოდები და შესაბამისად, ღირებულება. დღესდღეობით ეს სამუშაო - ქიმიური ნივთიერებებიდან წამლის სტატუსის მიღებამდე - საშუალოდ 850 მლნ.-1 მილიარდი დოლარი ჯდება, ამიტომაც, უცხოელი კომპანიები საუბარში განცვიფრებას გამოხატავენ, როდესაც ვუყვები პრეპარატის რეგისტრაციის შესახებ.

- როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

- გამოჩნდა კლინიკური ნებისმიერი დაავადების იქიდან, რომ პრეპარატზე მუშაობა და კვლევა, დაახლოებით, 30 წლის წინ დაიწყო, იმ დროს ფინანსური პრობლემებიც სხვაგვარად წყდებოდა, ბევრი რამ - ფინანსური და კვლევითი კუთხით კოლეგებისა და მეგობრების დახმარებით შესრულდა, რისთვისაც ყოველთვის მათი მადლიერი ვიქნები.

- თანამედროვე კვლევებზე რას გვეტყვი?

- ბოლო პერიოდში კვლევები მოიცავდა სტანდარტიზაციას თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, რამაც დამეხმარა ფარმაციის ფაკულტეტის პროფესორები: ქალბატონი თამარ ჩიკვილაძე, ბატონები თამაზ მურთაზაშვილი და მალხაზ ჯოხაძე. ასევე, კლინიკური კვლევების ჩატარებაში დიდ წვლილი მიუძღვის კანისა და ვენერიული სნეულებათა დეპარტამენტის პროფესორს, ან. გარდაცვლილ ზურაბ ბენდელიანს.

- რას მოიცავს მომავალი ნაბიჯები?

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოწვეული მსოფლიო ბანკისა და GITA -ს წარმომადგენლების დახმარებით უნდა შესრულდეს პრეპარატის კომერციალიზაციისთვის საჭირო კვლევები და მარკეტინგული პროცედურები, აგრეთვე მიმდინარეობს კონტაქტების განვითარება უცხოურ კომპანიებთან, რომელთაგანაც გამოვარჩევი ცნობილ კომპანია „SANOFI“-ს, რომელმაც ინტერესი გამოთქვა პრეპარატ „დეულერ-ც“ მიმართ.

„დეულერ-ც“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან წარმატებას წარმოადგენს, რადგან კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის სახელმწიფო და მალალტექნოლოგიურ პოტენციალს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს ბატონ თამაზს ამ დიდ აღიარებას და წარმატებებს უსურვებს შემდგომ საქმიანობაში.

მონაზადა მანანა ფსალაძე

გამოსახოვარი

მედიცინით, ბავშვთა ნაწილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია, სტუდენტები, მკვლევარები და რეზიდენტები უდიდესი გულსტყვილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი რევაზ კვერენჩილაძე - ღვანლმოსილი მეცნიერი და



პედაგოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრევენციული მედიცინისა და გარემოს ჯანმრთელობის მიმართული მედიცინისა და გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ასოციაციის „გარემოს მედიცინა“ პრეზიდენტი, ეკოლოგიისა და ადამიანის ცხოველმყოფელების საერთაშორისო აკადემიის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

ბატონი რევაზი, თითქმის ნახევარი საუკუნე, პირნათლად, ერთგულად, მუხლწაუხრელად ემსახურა პროფესიული მედიცინის სფეროს - როგორც მკვლევარი, როგორც პედაგოგი და როგორც ორგანიზატორი. იგი კომპეტენტური გახლდათ ამ სფეროს ყველა ასპექტში; ამიტომაც იყო მისი აზრი და ქმედება ყოველთვის შინაარსობრივად გამართული და ქმედითი.

ბატონი რევაზ კვერენჩილაძე დაიბადა 1948 წლის 20 იანვარს ლანჩუთის რაიონის სოფელ ჩოჩხატაში. 1971 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) დამთავრების შემდეგ, მან ორიოდე წელი (1971-1973) იმუშავა ნ. მახვილასის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში (ამჟამად - ნ. მახვილასის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) მეცნიერ-თანამშრომლად; 1973 წლიდან კი, ბოლო დღემდე, მისი პროფესიული და აკადემიური საქმიანობა დაკავშირებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან: გახლდათ შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა კათედრის ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, 2006 წლიდან კი - გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ამასთან, მას იოტისოდენადაც კი არ შეუმცირებია ნაყოფიერი სამეცნიერო და მეთოდური თანამშრომლობა შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან; იგი იყო არაერთი სამეცნიერო პროექტის იდეის ავტორი თუ განმარტოვებული; ბატონი რევაზი თავდაუზოგავად შრომობდა - მან სხვაგვარი შრომა არ იცოდა და არც შეეძლო. ამიტომაც იყო მისი კეთილსინდისიერება და გულმოდგინება სამაგალითო კოლეგებისათვის, მოსწავლეებისთვის, ახლობლებისათვის.

განუზომლად მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელია ბატონი რევაზის როლი საქართველოს სახელმწიფო ჰიგიენური ნორმატიული ნაზის შექმნაში; იგი სათავეში ედგა ორ ათეულამდე ნორმატიული აქტის (ტექნიკური რეგლამენტების) შემუშავებას სანიტარულ-ჰიგიენურ სფეროში.

გამორჩეულად აღსანიშნავია ბატონი რევაზის პედაგოგიური მოღვაწეობა. ფუნდამენტური აკადემიური და ემპათიური მანერით, კომპეტენტით გაჯერებული მისი ლექციები დადებით შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. ამიტომაც ჰყავდა უამრავი პატივისმცემელი და მადლიერი მოსწავლე სტუდენტებს, რეზიდენტებს, მკვლევარებს, ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე პრაქტიკოს ექიმებს შორის. მეტად საინტერესო და პოპულარული იყო მისი საჯარო გამოსვლები შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სულ მეტად და მეტად საჭირობო საკითხებზე.

რევაზ კვერენჩილაძის ავტორობითა და თანაავტორობით შექმნილ მრავალრიცხოვან, 150-მდე სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდურ ნაშრომს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ორიგინალური სახელმძღვანელოები და მეთოდური საშუალებები, მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო არამარტო სტუდენტების, არამედ საზოგადოებრივი ჯანდაცვის, პრევენციული მედიცინის, გარემოს მედიცინის, შრომის ჰიგიენის სფეროში მოღვაწე მკვლევარებისა და სპეციალისტებისათვის.

მეტად გულსატკენია, რომ პროფესორმა რევაზ კვერენჩილაძემ წუთისოფელი დატოვა პროფესიული სიმნიფის ეტაპზე, როდესაც მისი კოლეგები და მრავალრიცხოვანი მოსწავლეები კიდევ ძალიან ბევრს ისწავლიდნენ მისგან და მისი ხელმძღვანელობით; მაგრამ მან დატოვა თანამოაზრეთა გუნდი, რომელსაც ეგების ბატონი რევაზის საქმის გააგრძელება.

თქვენი ალმა-მატური დამწუხრებული და გულდანყვეტილი გემშვიდობებათ, ბატონო რევაზ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

